f

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2024 წლის _ _ თებერვალი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — ლევან ჩანქსელიანი

ანგარიში

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"-ს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი ყოველ წლიურად საჭიროებიდან გამომდინარე ვანხორციელებთ სარეკლამო ბროშურების ბეჭდვას, ვაახლებთ სარეკლამო მასალას და მთელი წლის განმავლობაში ხდება მათი გამოყენება, განთავსება სხვადასხვა ტურისტულ ლოკაციებზე, შიდა და საერთაშორისო გამოფენებსა თუ ადგილზე ვიზიტორთათვის. დაიბეჭდა სარეკლამო ბანერები ,ბროშურები , 3 სახის რუკა 150/180 ზე, ქალაქის არტ-რუკა, სამედიცინო მომსახურეობა ტურიზმში, კვებისა და განთავსების სივრცეები მუნიციპალიტეტის მასშტაბით და დატანილ იქნა ბანერზე.

აგრეთვე დაიბეჭდა 15/20სმ ბროშურები/სამ ენაზე.

აქტივობები:

წლის დასაწყისში განვაახლეთ საინფორმაციო მასალა, აღვრიცხეთ წყალტუბოში არსებული ტურისტული ლოკაციები: დაცული ტერიტორიები, მუზეუმები, მარნები, ბალნეოლოგიური ცენტრები, განთავსებისა და კვების ობიექტები.

ა(ა)იპ წყალტუბს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრმა იმერეთის ბარმენთა ასოციაციასთან გავაფორმეთ მემორანდუმი 2022 წლის 16 დეკემბერს, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს: „მუნიციპალიტეტში გადამზადდეს - საერთაშორისო ხარისხის მქონე სერთიფიკატის სტანდარტების დაცვით „მოქმედი და დამწყები ბარმენები და მოხდეს მათი დასაქმება".

პროექტი წარმატებით მიმდინარეობდა 2023 წელშიც, რაც დადასტურა მონიტორინგით კვალიფიცირებული კადრების მხრიდან.

ჩავატარეთ წლის შემაჯამებელი ღონისძიება,დასახელდა წლის გამორჩეული ბარისტა და რესტორან „მაგნოლიაში" , მონაწილეებს გადაეცათ სპონსორებიდან საჩუქრები, აგრეთვე ასოციაციამ ცენტრთან ერთად გადასცა საერთაშორისო დონის სერთიფიკატები.

ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრმა სსც (სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრი) „Edumediator+"-თან თანამშრომლობით 2022 წელს განვახორციელეთ სასწავლო პროგრამა: დამწყები გიდების და მოქმედი გიდების კვალიფიკაციის ასამაღლებლად" – (გიდების გადამზადება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში)კიდევ ერთხელ განახორციელა წარმატებით 2023 წელს.

ამავე წლის თებერვალში, მოვიწვიეთ წლის გიდი ბათუმიდან თამუნა ორაგველიძე თავისი გუნდით, რომელმაც ჩაუტარა სამ დღიანი პრაქტიკული ტრენინგ-კურსი ცენტრის მიერ გადამზადებულ გიდებს. აღნიშნული ღონისძიება გაშუქდა იმედის დილის გადაცემაში, თებერვალში რესტორან „მაგნოლიაში" გიდების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩავატარეთ დაჯილდოება სადაც გამოვლინდა „წლის საუკეთესო გიდები წყალტუბოდან".რაშიც აქტიურად იყო ჩართული საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო.

2023 წლის მარტში წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩავატარეთ მინი-კონფერენცია. შპს„თერმული წყლები“-მეექვსე აბაზანაში

მოწვეული იყო წარმომადგენლები წყალტუბოს ბალნეოლოგიური ცენტრებიდან - „ბალნეოლოგიური კურორტი(წყარო 6,წყარო1) და Be Healthy -ბალნეოლოგიური კურორტი & სპა (წყარო 2,3) , კურორტოლოგები და ექიმები. ყოფილი სანატორიუმების დირექტორები, საქართველოს გაერთიანება წყალმომარაგების ხელმძღვანელი ,იმერეთის ადგილობრივი გაერთიანება ,DMO სამსახური და იმერეთის გუბერნიის წარმომადგენლები , ქალაქის ხელმძღვანელობა. ღონისძიება გააშუქა იმედის ტელევიზიამ.მოწვეულმა სტუმრებმა სიტყვით გამომსვლის დროს ისაუბრეს და გაიხსენეს ძალიან საინტერესო ისტორიები ,შეაფასეს მიმდინარე პროცესები და გაგვიზიარეს სამომავლოდ კურორტის განვითარებაზე ,მათი ხედვები.

ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი და მის დაქვემდებარებაში მყოფი ინოვაციების ცენტრი კომპანია „ნეთლაბ კორპორეიშენთან მხარდაჭერით გაფორმებული მემორანდუმის შედეგად 2022 წელს განახორციელა უპრეცედენტო პროექტი წყალტუბოში მცხოვრებ ახალგაზრდებისათვის ვისაც საშუალება არ ქონდა სხვადასხვა მიზეზს გამო მიეღო ამ კუთხით განათლება. მათ უფასოდ გაიარეს “ ინფორმაციული ტექნოლოგიების“ ინტენსიურ 6 თვიან კურსი 2023 წელსაც ონლაინ -ინგლისურ ენაზე . პროექტი წარმატებით ხორციელდება და მონაწილეებს კურსის ბოლოს ეძლევად შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატები.

ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტულ კლუბებთან თანამშრომლობით 2023 წლის ივნისს ოლიმპიზმის დღე- სპორტული ღონისძიებით აღვნიშნეთ. სპორტის აღსაზრდელებმა და საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გარბენში მიიღეს მონაწილეობა. ასევე გაიმართა ქუჩის კალათბურთი. გამარჯვებულ მონაწილეებს სიმბოლური საჩუქრები და დიპლომები გადაეცათ.(ეს ღონისძიება ყოველწელს ხორციელდება)

პროექტის ფარგლებში- 2023 წლის ივნისში ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურთან თანამშრომლობით ჩავატარეთ აქტივობა. ცენტრალური პარკის შესასვლელთან მოვაწყვეთ მინი -ბაღი,სადაც მდებარეობს ტურისტული ლოკაცია საინფორმაციო ცენტრი“. შეიქმნა მოსასვენებელი სივრცე ულამაზესი სკვერით და მოირთო ყვავილებით.

პროექტის ფარგლებში წყალტუბო „ადგილობრივი გიდები“ -2023 წლის მაისში მოეწყო გასვლითი ღონისძიება ქალაქ დმანისში.

როგორც დამწყები და ასევე მოქმედი ადგილობრივი გიდებისათვის, ღონისძიების მიზანი იყო მათი კვალიფიკაციის ამაღლება. თემა: ზეზვა და მზია

გამოფენები:

2023 წლის აპრილში ვიმყოფებოდით ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე ყაზახეთში - "KITF 2023". გამოფენის ფარგლებში, ტურისტული შესაძლებლობების შესახებ პრეზენტაცია გაიმართა, სადაც აჭარისა და წყალტუბოს ტურიზმის დეპარტამენტებმა დაგეგმილი და მიმდინარე პროექტები წარადგინეს და ასევე ვიზიტორებს გავაცანით წყალტუბოს ტურისტული პოტენციალი.

2023 წლის მაისში ვიმყოფებოდით დუბაის საერთაშორისო გამოფენაზე „ATMDubai2023

2023 წლის 19-21 მაისს ქალაქ ბათუმში EXPO BATUMI-ს ორგანიზებით ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის რიგით მე-14 საერთაშორისო გამოფენაზე მივიღეთ მონაწილეობა, სადაც ვიზიტორებს გავაცანით წყალტუბოს ტურისტული პოტენციალი და წარვუდგინეთ ჩვენი სარეკლამო მასალა.

ტრენინგები:

14 მარტი- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და წყალტუბოს ტურიზმის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: სოციალური მედიის მართვა

11 მაისი - ტრენინგი თემაზე: ინკლუზიური ტურისტული პროდუქტები და სერვისები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

მაისი - ტრენინგი თემაზე: საოჯახო სასტუმროს მართვა.

ვუმასპინძლეთ:

ვუმასპინძლეთ საქართველოს ლაბორატორიის გუნდს, რომელმაც წყალტუბოში ბიზნეს იდეის განაცხადის მომზადების თემაზე თავისუფალი ვორქშოფი გამართა. ვორქშოფის მონაწილეები საგრანტო განაცხადის ფორმას გაეცნენ და ყველა ის საჭირო რეკომენდაცია მიიღეს, რაც გრანტის მოპოვებაში დაეხმარებათ.

ვუმასპინძლეთ საქართველოში ცნობილ ბლოგერს გივიკო დიდიას, ქალაქში მდებარე ტურისტული ლოკაციების ცნობადობის გაზრდის კუთხით, ასევე მოვიწვიეთ ცნობილი მეცნიერ მუშაკი არქეოლოგი ჯუმბერ კოპალიანი ,რომლის სახელს უკავშირდება არქეოლოგიური გათხრა ევროპის საწყისები" რომელმაც ჩაუტარა ლექცია ადგილობრივ გიდებს--თემაზე: „როგორ მოვიდა საქართველო დღემდე", „ევროპის საწყისები საქართველოში(ზეზვა და მზია), საღამოს უძღვებოდა ერეკლე საღლიანი.

1. 2023 წლის 7 ივლისიდან 9 ივლისის ჩათვლით ვიმყოფებოდით

შპს ექსპო ბათუმი, რიგით მე-4 საერთაშორისო გამოფენაზე.

2023 წლის 26-30 ივლისის ჩათვლით ზუუმ პლათმორმაზე გაიმართა შეხვედრა სახელწოდებით ,,ონლაინ დაჯავშნის სისტემების ბიზნესს მოდელების მიმოხილვა, შესაბამისად ამ პროექტის თანამონაწილე გახლდათ ტურიზმის საკოორდინაციო ცენტრი .

2023 წლის 22 -26 აგვისტოს ჩათვლით, სვანეთში კერძოდ სასტუმრო ,,მესტია რუთსი-ში" გაიმართა მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, სადაც მიწვეული იქნა ტურიზმის საკოორდინაციო ცენტრი.

წყალტუბოში შეირჩა ,სეზონზე ყველაზე აქტიურად მომუშავე ტურისტული ლოკაციები. მათი პოპულარიზაციის და ადგილზე მყოფი დამსვენებლებისთვის აქტიური დასვენება გართობის საჭიროების შექმნის მიზნით ჩატარდა მუსიკალური საღამოები ,,Accustic night" 2023 წლის 11 სექტემბერს ჩატარდა სასტუმრო ,,წყალტუბო პლაზა"- ში

შიდა ტურიზმის განვითარების კუთხით ზაფხულის ტურისტული სეზონის დახურვის და შემოდგომის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით პრომეთეს მღვიმეში, ჩატარდა სამდღიანი ფესტივალი.

2023 წლის 31 ოქრომბერს გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია- სტანდარტები ტურიზმში. ღონისძიების ორგანიზატორი იყო საქართველოს ტურიზმის ასოციაცია. პროექტი ინიცირებული იქნა ასოციაცია სტანდარტების კომიტეტის მიერ. ამ ღონისძიების მხარდამჭერი იყო საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და ასევე ერთ-ერთი სპონსორი გახლდათ ა(ა) იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. ღონისძიებას უმასპინძლა სასტუმრო ბილტმორმა.

2023 წლის 12 ნოემბერს, ქალაქ ბათუმში, კერძოდ ბოტანიკურ ბაღში ,რიმელიც ამავე წელს გახდა ოქროს გლობუსის მფლობელი.გაიმართა (ხილის ფესტივალი), სადაც მიწვეული იყო ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი.

ცენტრმა პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების მიზნით, შეიქმნა წყალტუბოს საიტი.რომელიც მოიცავს ქალაქში შემოსული სტუმრის,ვიზიტორის,დამსვენებლისათვის ადვილად ხელმისაწვდომ ინფორმაციას მათვის საჭირო ლოკაციების შესახებ,

ეს იქნება განთავსების სივრცეები,სატრანსპრტო მომსახურება,თუ ნებისმიერი ტურისტისთვის საინტერესო მომსახურეობა.შეძლებენ დაჯავშნონ სასურველი ლოკაცია წინასწარ,და დაზოგონ დროც.

visittskaltubo.com.

ვერა ზურაბიანი

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“